N 01-220
25/11/2019

220-01-4-201911251701

შპს ,,ენგურჰესის“ მიერ შენობა-ნაგებობების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი N1

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის წევრები:

1. **გია ხუბუა** - შპს ,,ენგურჰესის“ ტექნიკური დირექტორი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ზვიად კილასონია** - შპს ,,ენგურჰესის“ ფინანსური დირექტორი - სატენდერო კომისიის წევრი;
3. **იური შონია** - შპს ,,ენგურჰესის“ რემონტების მენეჯერი - სატენდერო კომისიის წევრი;
4. **ვახტანგ მოლაშხია** - შპს ,,ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;
5. **რევაზ გვაგვალია** - შპს ,,ენგურჰესის“ საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;

კომისიის აპარატის წევრები:

1. **მედეა კორსანტია** - შპს ,,ენგურჰესის“ იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე - აპარატის წევრი;
2. **რომან ლაგვილავა** - შპს ,,ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - აპარატის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:

1. **ლევან მებონია** - შპს ,,ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე/აპარატის ხელმძღვანელი;

დღის წესრიგი:

შპს ,,ენგურჰესის“ მიერ შენობა-ნაგებობების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის განხილვა და დამტკიცება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

კერძოდ შესასრულებელია შემდეგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები:

1. შპს „ენგურჰესი"-ს ბალანსზე რიცხული N18 სახლის ფასადის შეკეთება;

2. დას. საბერიოს სანიაღვრე სისტემის შიდა ქსელის მოწყობა;
3. დას. საბერიოს წყალსაწრეტი არხის შეკეთება;
4. დას. საბერიოში N23 და N24 სახლების მიმდებარე ტერიტორიების შემოღობვა;
5. წყალსაქაჩი სადგურის საძირკველის აღდგენა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა შპს ,,ენგურჰესის“ მიერ შენობა-ნაგებობების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით ელექტრონული ტენდერის გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით ელექტრონული ტენდერის გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად დასახელდა: 32000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლისა და „ელექტრონული ტენდეწრის ჩატარების წესის“ მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო პირობების პროექტი (სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია).
2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს: 32000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

გია ხუბუა

ტექნიკური დირექტორი

ზვიად კილასონია

ფინანსური დირექტორი

იური შონია



რემონტების მენეჯერი

ვახტანგ მოლაშხია



შესყიდვების და მომარაგების სამსახურის უფროსი

რევაზ გვაგვალია

საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი

მედეა კორსანტია

იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე

რომან ლაგვილავა



შესყიდვების და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი